

FRANCE 98

შპანა მხარეს იხილეთ მატჩების დაწყების დრო

№	A ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	ბრაზილია						
2.	სლოვაკეთი						
3.	მაროკო						
4.	ნორვეგია						

№	B ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	იტალია						
2.	ჩილე						
3.	კამერუნი						
4.	ავსტრია						

№	C ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	საფრანგეთი						
2.	სამხ. აფრიკა						
3.	საუდ. არაბეთი						
4.	დანია						

№	D ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	ესპანეთი						
2.	ნიგერია						
3.	პარაგვაი						
4.	ბულგარეთი						

№	E ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	კოლანდია						
2.	ბელგია						
3.	სამხ. კორეა						
4.	მექსიკა						

№	F ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	გერმანია						
2.	აშშ						
3.	იზობელაზია						
4.	ირანი						

№	G ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	რუმინეთი						
2.	კოლუმბია						
3.	ინგლისი						
4.	ტუნისი						

№	H ჯგუფი	1	2	3	4	ბ.	ქ.
1.	არგენტინა						
2.	იაპონია						
3.	იამაიკა						
4.	ხორვატია						



დაბვიდგა დიდი შესბურთის სანაბრელი დღეები

10 - 12 ივნისი.
1998 წ.

№ 45
(11 194)

ფასი 40 თეთრი


დაიჯაკებთ? ჩვენი წალკარტოლები ჩასეთის ჩვეურობები არიან!

„ლელო“ გულმოდგინედ აღვივებდა თვალყურს რუსეთის ღია ჩემპიონატში ჩვენი ქაბუცი წყალბურთელების ასპარეზობას და ყოველთვის განგაშს ტეხდა იმის გამო, რომ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ჩვენებს სასრები არ გაანდოთ, ბოლოს კი ის შედეგები და დათმობები, რაზედაც რუსეთის შესაბამისი ფედერაცია წავიდა, ლამის სირცხვილად გვექცა, ისევ და ისევ ფინალურ ეტაპზე გასამგზავრებელი უსახსრობის გამო. და მაინც, ისევ ვალით მოხერხდა გამგზავრება. ფინალში 6 რჩეული გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის და თითქმის დაუფრებელი რამ მოხდა — ქართველმა ქაბუციებმა რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვეს (მწვრთნელი სოსო მაისურაძე).

იქნებ სწორედ აქედან იწყება ქართული წყალბურთის აღმავლობის ახალი ხანა, იქნებ ამ ფაქტმა მაინც დააფიქროს ყველა, ვისაც პრობლემების გადაჭრა მოეთხოვება...

სწრაფად: მარცხიდან — პირველი რიგში გ. ბიბურთიანი, პ. ჯაფარიძე, ბ. ჩიგოძე, გ. ტუცაძე, ბ. ბატატუნაშვილი; მეორე რიგში გ. მაისურაძე, შ. ტატუნაშვილი, გ. მაისურაძე (მწვრთნელი), გ. მაზიაშვილი, ი. ლოკაძე, რ. გიორგაძე.

ბლატერი მოვიდა...




საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების მეორე დღეს — 13 ივნისს შედგება ფიფას ახალი პრეზიდენტის, მანამდე გენერალური მდივნის სავარძელში მყოფი იოზეპ ბლატერის კურთხევის ოფიციალური ცერემონია. ამით დასრულდება 82 წლის უთაო აველანეს 24-წლიანი ბატონობის ერა.

ღიან, იოზეპ ბლატერი ფიფას ისტორიაში მერვე პრეზიდენტი! ეს მოხდა 8 ივნისს, პარიზში გამართულ ფიფას 51-ე კონგრესზე. პრეზიდენტობის ორ ოფიციალურ მაძიებელს, ბლატერსა და უეფას თავკაცს ლენარტ იუჰანსონს, თითოეულს გამარჯვებისათვის მთელი 186 საარჩევნო ხმებისაგან ორი მესამედი მაინც უნდა დაეგროვებინა. თუ არა, რეგლამენტი, არჩევნების მეორე ტური უნდა გამართულიყო. პირველ ცდაში ბლატერმა სანუკვარი 128 ხმა ვერ მიიღო და მხოლოდ 111-ს დასჯერდა, მაშინ, როცა მისმა შედემა ოპონენტმა მხოლოდ 80 მიიღო. ყველა განმეორებითი კენჭისყრის მოლოდინში იყო, აქ კი იუჰანსონმა ვაჟაკური ნაბიჯი გადადგა — ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა...

არადა, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, რომლებიც „ლელოში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა, „ლომთა“ ჟიდილში თითქოსდა იუჰანსონს უნდა გამარჯვება, მაგრამ ბოლო მომენტში მას აფრიკის ქვეყნებმა უმუხთლა — მართალია, შავი კონტინენტის კონფედერაციის პრეზიდენტი, კამერუ-

იხ. მე-3 გვ.



პარიზი - თბილისი

პაინს რაგო, ჩისტონს მოიქალს ქართული ხალკურთელუბი?

მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის წილისყრა ამ დღეებში გაიმართა და იმის მოლოდინში თუ რომელ ჯგუფში მოხვდებოდნენ ჩვენი ვაჟები, უცერად თავზარდამცემი ცნობა მოვიდა — საქართველოს ნაკრების წილისყრაშიც არ მიაღებინეს მონაწილეობა. პირველ ინფორმაციას ახლდა განმარტება „ორგანიზაციული საკითხების მოუწყვსრებლობა“. რა ორგანიზაციულ საკითხებზეა ლაპარაკი? როგორც ირკვევა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ფედერაციამ და პარლამენტის შესაბამისმა კომისიამ დროულად გაუგზავნეს ფაქტები ორგანიზატორებს თბილისში ჩასატარებელი მატჩების პასუხისმგებლობის თაობაზე. „ლელო“ დეტალებითაც დაინტერესდა, რათა თავად გაგვეანალიზებინა ვარაუდით თუ რას უნდა გამოეწვია საერთაშორისო ფე-

დერაციის მაღალჩინოსანთა განრისხება. ვფიქრობთ, რაღაც რომ მზადდებოდა ჩვენს წინააღმდეგ, აპრილის ბოლოს შეიგრძნობოდა, როცა ფაქსი 27-ში გვიან ღამით მიუღიათ პარლამენტში და პასუხს იმავე დღეს ითხოვდნენ. 29-ში პასუხი გაიგზავნა და ჩვენმა ფედერაციამ მაშინვე დააზუსტა, ხომ არ გამოიწვევდა ეს დაგვიანება რაიმე უსიამოვნებას. „რაკი გამოგზავნეთ, არაო“, — უპასუხნიათ. ადრე ყოფილა შეფერხებები სავაჭრო გადახდაშიც, მაგრამ ესეც გამოსწორებულა. სხვა მხრივ, 2 წელიწადია, თურმე არანაირი შეხება არ ჰქონია ერთმანეთს ჩვენსა და საერთაშორისო ფედერაციას. ისე, სავარაუდოა, ჩვენები იმითმაც გასწირეს, რომ ამ 2 წლის წინათ, როცა უცხოელი ხელბურთელები გვესტუმრნენ, უკმაყოფილონი დარჩნენ ცხოვრების, ვარჯიშისა და

შეჯიბრების პირობებით, შემდეგ პრეტენზიები გამოთქმულა უცხოეთში ქართველი არბიტრის მსაჯობის მიმართ, იმაზეც წაუბუზღუნებიათ, თქვენთან ფაქსით ურთიერთობა ჭირსო. იქნებ ყოველივე ეს ერთად გაიხსენეს ახლა, როცა თავს იმტერევენენ შესარჩევი ეტაპზე გუნდების სიმრავლისგან როგორმე განეტვირთათ ტურნირი. პოდა, ადგენენ და ჩვენები მიიჩნიეს ზედმეტ ტვირთად. ჩვენს საწინააღმდეგოდ საკითხი ორ ხმას გადაუწყვეტია — ჩეხებს და უნგრელებს. არადა, სწორედ მათ თვლიდნენ საქართველოს ფედერაციაში უახლოეს მეგობრებად. არაა გამორიცხული, რომ ისინი აიძულეს, მაგრამ უღავთა, რაღაც გარიგების ფასად. ახლა ერთადერთი იმედი ევროთაშუა მონაწილეობა რჩება. ფრთხილად, იქნებ, იქაც რაღაცას გვიპირებენ!

FRANCE 98

ხათუნა ავაძიანი გერმანიიდან

სუპერკოორდების მსოფლიო ჩემპიონატი

მსოფლიო ჩემპიონატი 21 მატჩზე მეტი თამაში ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ ჩაუტარებია. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატი ახალი სიმალღების მიღწევის გარანტია. ორი ფავორიტის, გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების „დეელიც“ ახალ რეკორდებს გვაპირდება.

1930 წელს, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულის დადგენას 17 დღე დასჭირდა, ახლა კი იგივე ტიტულის მოსაპოვებლად 2-ჯერ მეტი დროა (33 დღე) საჭირო.

1930 წელს ურუგვაიში, 1950-ში კი ბრაზილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატებში მხოლოდ 13 ნაკრები მონაწილეობდა, მდე მივიდა, მაშინ მათეუსის სათვალავში 21-ის ნაცვლად 28 მატჩი იქნება.



ფრანკ კლაინი, ბრაზილიელი ფეხბურთელი

სულ ჩემპიონატში 64 მატჩი უნდა ჩატარდეს - ეს მაჩვენებელი რეკორდია. და საერთოდ, როგორც ითქვა, ეს ჩემპიონატი რეკორდების ახალ ტალღას მოიტანს. ბევრ სტატისტიკურ მონაცემებში გერმანიისა და ბრაზილიის გუნდების სახელები დომინირებს. ორივე გუნდს ფინალურ ტურნირებში 73 თამაში აქვს ჩატარებული. იქნებ წლევანდელმა ჩემპიონატმა ამ მაჩვენებლით გამოავლინოს ახალი პირველი ნომერი.

თუ გერმანია გახდება ტიტულის მფლობელი, მაშინ ის ბრაზილიასავე 4-გზის გამარჯვებული იქნება, თუმცა იგივე შანსი იტალიის ნაკრებსაც აქვს.

ლოთარ მათეუსს კი რეკორდის დამყარება შეუძლია. მართალია, მას და დანარჩენ 3 მოთამაშეს (მარადონა, ზეელერი, ყმუდა) 21 მატჩში აქვთ ჩატარებული, მაგრამ დღეს მათეუსს რეკორდის დამყარებაში კონკურენტი არ ჰყავს, რადგან სხვები აღარ თამაშობენ აქტიურად ან სულაც, ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ. და თუ გერმანია ფინალადაც გახდება, მაშინ მათეუსის სათვალავში 21-ის ნაცვლად 28 მატჩი იქნება.

ბრაზილია თუ გერმანია, ვინ გაიმარჯვებს?

ფინალური მონაწილე გუნდები	
1. გერმანია	6-ჯერ
2. ბრაზილია	5
იტალია	5
4. არგენტინა	4
5. პოლანდია	2
ჩეხოსლოვაკია	2
უნგრეთი	2
ურუგვაი	2
9. ინგლისი	1
შვედეთი	1

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილე მატჩების რაოდენობა

1. ბრაზილია	49
2. გერმანია	45
3. იტალია	35
4. არგენტინა	27
5. ინგლისი	18
6. საბჭოთა კავშირი (რუსეთი)	16
საფრანგეთი	16
8. ესპანეთი	15
9. ურუგვაი	15
უნგრეთი	15
შვედეთი	15
იუგოსლავია	15

ნახევარფინალური მონაწილე გუნდების მატჩების რაოდენობა

1. გერმანია	9-ჯერ
2. ბრაზილია	8
3. იტალია	7
4. არგენტინა	4
ურუგვაი	4
შვედეთი	4
7. საფრანგეთი	3
8. ავსტრია	2
ჩეხოსლოვაკია	2
ინგლისი	2
პოლანდია	2
უნგრეთი	2
პოლონეთი	2
იუგოსლავია	2

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მატჩების რაოდენობა

1. მექსიკა	18
2. არგენტინა	17
3. ბელგია	16
4. შვედეთი	15
გერმანია	15

მსოფლიო ჩემპიონატის ტიტული მონაწილენი

1. ბრაზილია	4
2. იტალია	3
გერმანია	3
4. არგენტინა	2
ურუგვაი	2
6. ინგლისი	1

ფინალურ ტურნირში ჩატარებული მატჩები

1. ბრაზილია	73
გერმანია	73
3. იტალია	61
4. არგენტინა	52
5. ინგლისი	41
6. ესპანეთი	37
7. საფრანგეთი	34
8. მექსიკა	33
იუგოსლავია	33
10. ბელგია	29

გოლეარობა

ფეხბურთელი	ქვეყანა	გოლი
გერდ მიულერი	გერმანია	14
ჟოსტ ფონტენი	საფრანგეთი	13

„ქველავის“ გამოსაფხვილოება ტური

„ერთი მხრივ, ბევრი წუწუნებს, რომ ჩვენი გუნდი „ხანდაზმული“ გახდა, მეორე მხრივ კი მთხოვენ 37 წლის მათეუსის გუნდში ჩართვას“ - ასე ასახელებს ბერტი ფოგთის ლოთარის ნაკრებში დაბრუნებას. „ფეხბურთელთა საშუალო ასაკი თითქმის ყველგან გაიზარდა, აღნიშნავს თომას პელმერი (33 წ.), რის საფუძვლადაც მას მედიცინაში წინადადებულ ნაბიჯებს მიჩინია. ლოთარი კი თავის გაახალგაზრდავებას შემდეგი „ხრივით“ აპირებს - მე ახლა 37 წელზე 2 წლით ახალგაზრდა ვარ. თუ ჩემს ასაკს 3 ტრავმის დროს გამოვაკლებთ.“

ხრივი ხრიკად, ფაქტი კი ერთია, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრებში დიდი ცვლილებები უნდა მოხდეს. ოლივერ კანი იმედოვნებს, რომ 36 წლის ანდრეას კეპკე „თავს დაეხსნება“, თუმცა მარსელის „ოლიმპიკის“ შეკარებს ეს აზრი გადაწყვეტილ არ გამოუთქვამს. ამ არც თუ სასიამოვნო საკითხზე საუბრისას ტომას პელმერი საპირისპირო კითხვით გამოხატავს თავის აზრს: რომ მეთქვა ფეხბურთს თავს ვანებებ-მეთქი, მაშინ იგივეს უნდა ელოდონ იურგენ კოლერი (32) და ტომას პესლერი (31) ახლო მომავალში, ლოთარ მათეუსს რომ არაფერი ეთქვამთ - მგონი დიდად არ ესიამოვნება 41 წლისა სხვების ხელში ასაყვანი და მინდორზე სატარებელი რომ გახადეს. სასიხარულო არც ანდრეას მიოლერს (30), ულფ კირსტენს (32) და ოლაფ მარშალს (32) აქვთ. მაგრამ აბა, ვინ მიათვლის თავს ჟანგმოდებულთა რიცხვს, ყოველი მათგანი ხომ მინიმუმ, მომავალ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას იმედოვნებს.

მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი თამაშით კრიტიკული ასაკის მოთამაშეებს შანსი ეძლევათ კარიერა გაიხანგრძლივონ. ოლივერ ბირჰოფმა ხომ მხოლოდ ახლა -30 წლის ასაკში იგემა ნაკრებში თამაშის ფასი. და თუ იქნს ერემისის (24) და დიტმარ პამანის (24) ტიპის მოთამაშეები არ გამოჩნდებიან, მაშინ ისევე ძველები დარჩებიან მთავარი მოქმედ პირად.

შემცველი თაობის აღზრდაზე ბერტი ფოგთის რამდენიმე წელია რაც ამახვილებს ყურადღებას. „საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ნაკრების შემადგენლობა კარდინალურად უნდა გადახალისდეს მისი გაახალგაზრდავების მიზნით“ - აცხადებს გერმანელთა გუნდის მწვრთნელი.

FRANCE 98 INFORMATIONS

„ბრაზილია არც ისე კლინიკა“

ასეთი, ცოტა არ იყოს გასაკვირი განცხადება ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელ ვეილ ულსენს ეკუთვნის, იმ გუნდისა, რომელმაც შარშან ოსლოში შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის დამარცხება ანგარიშით 4-2.

„ბრაზილია არც ისე ძლიერია, როგორც ეს ფიფას წარმოუდგენია. განა ფეხბურთის სავარაუდო რეაქციის აზრი იმის გარანტიაა, რომ ბრაზილიელებს წინასწარ ჯგუფში ვე-

რავინ დაამარცხებს? ჩემი აზრით, ისინი სავარაუდოდ ვერ გაულებ მერვედფინალში“.

ასეა თუ ისე, ამაში დღესვე დავრწმუნდებით, რა სახსენებელია და, დღეს თუ ბრაზილიელებმა მოტლანდიელს მოუგეს, განა ისინი ფაქტობრივად უკვე მერვედფინალში არ არიან?!

ბერტი ფოგთი კალიან შაიკო

უკანასკნელი ამხანაგური მატჩის მოგებაში მათის ფრანგულურტში კოლუმბიელბთან (3-1) გერმანელები ძალიან გაამხნევა.

— როგორც ჩანს, ჩვენ ძალიან კარგად შევთამაშდით და შევეცდებით

ეს საფრანგეთში დავამტკიცოთ — განაცხადა გუნდის კაპიტანმა კლინსმანმა.

აი კოლუმბიელთა მწვრთნელ დარო გომესის აზრი:

— გერმანიას დიდი პოტენციალი აქვს და ნახევარფინალამდე უნდა მივიღეს, შეიძლება მეტიც გააკეთოს... გერმანელების მწვრთნელ ბერტი ფოგთის აღფრთოვანება კი ახალგაზრდა ნახევარმცველმა იენს იერემისმა გამოიწვია:

— იგი მინდორზე საუკეთესო იყო. ორი კაცის სამუშაო შეასრულა, პარტნიორებს წინ მიუძღოდა და ბურთებითაც ჩინებულად ამარაგებდა.

გუსტავო კუარტენი: სივლარის თანხლებით უკეთ ვითარება

შპრტ-ბილდი: გუსტავო, თქვენ როგორც ნამდვილი ბრაზილიელი, ფეხბურთის ფანი უნდა იყოთ.

გუსტავო კუარტენი (21 წ.): დიახ, რასაკვირველია, ბარსელონის ტურნირის დროს ჩემი თანამემამულეები რივალდო, ჯოვანი და ანდრესონი გავიცანი. მათ მე თავიანთი მისურებები მისახსოვრეს. სამწუხაროდ, ჩვენი ნაკრების თამაშისთვის სტადიონზე ჯერაც არ მივღულ-შემატვივრია.

შპ: ამის საუკეთესო საშუალება საფრანგეთის ლია ტურნირის შემდეგ მოგეცემა.

ბ.ბ.: საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასწრებას სწორედ ახლა ვგეგმავ.

შპ: ბრაზილია რომ ტიტულის მფლობელი გახდება, თქვენში ვის არ უნდა იწვევდეს.

ბ.ბ.: არც ერთი წუთით.

შპ: ვითომ რატომ?

ბ.ბ.: არც ერთ ნაკრებს არა ჰყავს იმდენი ფეხბურთელი, რამდენიც ბრაზილიას, რომელთაც თამაშის ბედის გადაწყვეტა სხვებისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ — რონალდო, რობერტო კარლოსი და კილვე რა ვიცი, რომელი ერთი დავასახელო.

შპ: იამაიკის გუნდმა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მოიგოს, ისეთივე სენსაცია იქნება, როგორც თქვენს

მეორე საფრანგეთის ლია ტურნირის მოგება იყო. ვაგვიჩინებთ შარშან ამ გამარჯვების შემდეგ თამაში?

ბ.ბ.: რასაკვირველია. ეს არც თუ ადვილი იყო, რადგანაც საკუთარი თავისგან მხოლოდ კარგ შედეგებს ვითხოვდი.

შპ: ახლა რა იმედებით ჩამოხვედით პარიზში?

ბ.ბ.: მთავარია ჩემთვის არ ვიჩქარო. თუ 1998 წლის საფრანგეთის ლია ტურნირს არ მოვიგებ, ქვეყანა არ დაიტყვევება. ამ შედეგის მიღწევას ჩემგან არც არავინ მოელოს.

შპ: ახლა თქვენ ისე უღარდელად არ თამაშობთ, როგორც ერთი წლის წინათ. ასეთი მძიმე ზედრი იყო თქვენთვის ტიტულის მოპოვება?

ბ.ბ.: გასულ წელს დასაკარგი არაფერი მქონდა, წლეულს კი სიტუაცია შეიცვალა.

შპ: იმით რას ეტყვი, ვინც წინასწარმეტყველებს კუარტენი ვერც ერთ ტურნირს ვლარს მოიგებსო?

ბ.ბ.: ოხ, ეს ფაზა მეც გამოვიარე. ნამდვილად სტრესულ მდგომარეობაში ვიყავი, იმიტომ, რომ ყოველი ტურნირზე გამუდმებით ვფიქრობდი, აუცილებლად გამემარჯვა. ახლა უძლიერეს ათეულში ვარ და ვიცი, რომ უნარი მაქვს აქ და-



გუსტავო კუარტენი

06. 02-5 83.



საჩინო-შეჯიბვით და შოთა

„დიდი სლოპის“ მოპოვება უკვე მრავალი წელია მიუღწევლად რჩება...

რკვება მიიწია, მივიდა ნახევარფინალამდე, სადაც მონიკა სელეს შეხვდა...

მატიო პინისთან თითქოს ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო... ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა...

გარკვეულ სენსაციად ჩითვალა, კიდევ უფრო გასაკვირვებელი ვაქნას ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი...

რა ხდება ქვეყანაში პრეზიდენტის ქალიშვილს ჩაენივება

ამერიკის პრეზიდენტის ქალიშვილის რჩეული, სტანფორდის უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტი, მოცურავე მებურთობის გახლავთ.

სი სარეკორდო დროის წყალობით 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გახდა წლეულს სტანფორდის გუნდი ქვეყნის ჩემპიონი.

10 ივნისი, ოთხშაბათი 18:40 - ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის სახეობო გახსნა...

ჩოგბურთის გაცემით (7.05). საფეხურთო კლუბი (8.15; 18.00).

11 ივნისი, ხუთშაბათი „საფრანგეთი-98“. 19:20 - იტალია - ჩილე...

12 ივნისი, პარასკევი „საფრანგეთი-98“. 16:20 - პარაგვაი-ბულგარეთი...


„გოგო-ლოგო“ - პოტაპაშეთა სიხაქული!

7 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანხმდები „სუპერ-7“ ტირაჟის მეექვსე გათამაშებით.



გთავაზობთ ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონის ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდის ფოტოსურათს.

ილია გიგაური



სიცოცხლის ხალისითა და ენერგიით აღსავსე, 64 წლისა, მთელი ცხოვრება მძლეოსნობასთან იყო დაკავშირებული.

პოპულარული თენგიზ ბაყაური

ბილისი, 380008, მ. კობახიაძე 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის სპორტული სკოლა ღრმა მწვენიერებით უწყობს...

საქარაქო პოქსანი. ა. ბაღრატია (რუსეთი). A chessboard diagram with numbered squares and pieces.

ბილისი, 380008, მ. კობახიაძე 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. „საფრანგეთი-98“ ისადა მიმდინარეობს...